12/03/2025

სირიის სამი ეკლესიის პატრიარქები ერთობლივი განცხადებით გამოვიდნენ



დამასკოს სამი ქრისტიანული ეკლესიის პატრიარქები 8 მარტს ერთობლივი განცხადებით გამოვიდნენ, სადაც დაგმეს სირიაში მომხდარი მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მკვლელობები.

განცხადებას ხელს აწერენ ანტიოქიის და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი იოანე X; სირიის ორთოდოქსალური ეკლესიის მეთაური, ანტიოქიის და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი მარ ეგნატე ეფრემ II; მელკის ეკლესიის პატრიარქი იუსეფ I აბსი.

„ბოლო დღეებში სირია ძალადობის, სისასტიკისა და მკვლელობების სახიფათო ესკალაციის მომსწრე გახდა, რამაც გამოიწვია თავდასხმები უდანაშაულო მშვიდობიან მოსახლეობაზე“, – ნათქვამია განცხადებაში. განადგურდა მშვიდობიანი მოსახლეობის სახლები, ქონება გაიძარცვა.

„ქრისტიანული ეკლესიები მკაცრად გმობენ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის სამოქალაქო მშვიდობას, გმობენ და კიცხავენ უდანაშაულო მშვიდობიანი

მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას და მოუწოდებენ დაუყოვნებლივ შეწყდეს ეს საშინელი ქმედებები, რომლებიც მკვეთრად ეწინააღმდეგება ყველა ადამიანურ და მორალურ ღირებულებას“, – ნათქვამია განცხადებაში. – ეკლესიები ასევე მოუწოდებენ, დაუყონებლივ შეიქმნას პირობები სირიელ ხალხს შორის ეროვნული შერიგების მისაღწევად. ისინი მოუწოდებენ გამოჩენილ იქნას ძალისხმევა ისეთი გარემოს შესაქმნელად, რომლის პირობებშიც სახელმწიფო პატივს სცემს თავის ყველა მოქალაქეს და საფუძველს უყრის თანასწორ მოქალაქეობასა და ნამდვილ პარტნიორობაზე ორიენტირებულ და შურისძიებისა და გაუცხოების ლოგიკისაგან თავისუფალ საზოგადოების ჩამოყალიბებას. ამასთან, ისინი ადასტურებენ სირიის ტერიტორიის ერთიანობას და უარყოფენ მისი დაყოფის ნებისმიერ მცდელობას“.

ეკლესიები მოუწოდებენ ყველა დაინტერესებულ მხარეს სირიაში „შეასრულონ თავიანთი პასუხისმგებლობა, ბოლო მოუღონ ძალადობას და ეძიონ მშვიდობიანი გადაწყვეტილებები, რომლებიც იცავს ადამიანის ღირსებას და ინარჩუნებს ეროვნულ ერთობას“.

„ჩვენ ვლოცულობთ, რომ ღმერთმა დაიცვას სირია და მისი ხალხი, და რომ მშვიდობა სუფევდეს მთელს დედამიწაზე“, – ამით ამთავრებენ ეკლესიების მეთაურები თავიანთ გზავნილს.

mospat.ru